# კომუნისტი

1977 კვირა 20 ნოემბერი № 271 (17011) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР


## ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ, ᲣᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲝ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ!

**ᲤᲔᲚᲘᲤᲐᲜ-ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘᲐ** საქართველოს მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებას ახლებური ენთუზიაზმი შემატა რუსთაველ მეტალურგთა პატრიოტულმა თაოსნობამ დევიზით — „არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენ გვერდით, მტკიცე დისციპლინა და პასუხისმგებლობა ყველგან, ყველა უბანზე“!, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა.

ამ პატრიოტულმა თაოსნობამ სახალხო მეურნეობის ყველა რგოლი მოიცვა, სხვადასხვა ფორმით გავრცელდა და დაინერგა. მეტალურგთა თაოსნობის კეთილმყოფელმა გავლენამ დიდი წარმატება მოუტანა რესპუბლიკის ყოველ კოლექტივებს. ერთეულებმა მეათე — თუნდაც დავალებათა ოთხო შესრულებისათვის იბრძვიან.

დღეს ჩვენი ავტორი ამ ... მეტალურგთა თაოსნობის ამ დიდ სიკეთეს ეძღვნება.

# ᲙᲘᲜᲝᲡᲢᲣᲓᲘᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚ კვირაში ჩვენი კინოთეატრებისა და ტელევიზორების ეკრანებზე უჩვენებენ სამ-ოთხ ახალ საბჭოთა მხატვრულ ფილმს, ათობით დოკუმენტურ, სამეცნიერო-პოპულარულ, ქრონიკალურ ფილმსა და კინოჟურნალს. 39 კინოსტუდია მუშაობს ქვეყანაში — ყველა მის მოკავშირე რესპუბლიკაში. სხვადასხვა ყანრისა და სახეობის 2500-მდე ნაშუშევარს გვთავაზობენ ისინი ყოველ წელიწადს. მაყურებელს, რომელიც არჩევს, თუ რა ნახოს პირველ რიგში, აინტერესებს: რომელმა სტუდიამ შექმნა ფილმი? სტუდიის მარკა ხშირად ახალი ნაწარმოებისადმი მაყურებლის უურადღების მთავარი პირობა ხდება.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე კინო, ისევე როგორც სხვა ხელოვნებანი, ხალხს სამსახურში ჩადგა. სახელმწიფო, ჩაწერილია სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში, „ზრუნავს იმისათვის, რომ დაიცვას, ამრავლოს და ფართოდ გამოიყენოს საზოგადოების სულიერი ღირებულებანი საბჭოთა ადამიანების ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის, მათი კულტურული დონის ამაღლებისათვის“.

ვაჩენთო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის გმირული გზა ოქტომბრიდან დღემდე, ვაჩვენთო როგორ იქმნება ახალი საზოგადოება და კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის ბრძოლაში როგორ ყალიბდება ახალი ადამიანი, — ეს კეთილშობილური ამოცანა შთაგონებს ეკრანის ოსტატებს. სკკპ XXV ყრილობაზე ადინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში შექმნილი სოციალისტური რეალიზმის ნაწარმოებებში სულ უფრო ხშირად, და რაც მთავარია — უფრო ღრმად შუქდება ის მთავარი, რითაც ცხოვრობს ქვეყანა, რაც საბჭოთა ადამიანების პირადი ბედის ნაწილი გახდა.

პარტია ხელოვნების მოღვაწეებს მიზნად უსახავს შექმნან ისეთი ნამუშევრები, რომლებიც ამდიდრებენ ხალხის ხოციალური აზროვნებას, ქმედითად უწყობენ ხელს სოციალისტური პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ჩანერგვას, აქტიურად უპირისპირდებიან ბურჟუაზიულ იდეოლოგიას. რა თქმა უნდა, ამ კეთილშობილური მისიის შესრულება მხოლოდ მაღალი იდეურ-ესთეტიკური დონის ფილმებს შეუძლიათ.

„კინემატოგრაფის მნიშვნელოვანი ადგილი ხაზოგადოების ცხოვრებაში, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა რიგის ხრულიად საკავშირო კინოფესტივალის მონაწილეებისა და სტუმრებისადმი მიხალმებაში, — ავალებს კინოს ყველა მუშაკს შეურიგებელი იყვნენ სუსტი ფილმებისადმი, რომლებიც მოკლებული არიან ღრმა აზრს, მოქალაქეობრივ სიმწიფეს, შემოქმედებით გაბედულებას თანამედროვეობის პროცესების შეცნობაში, ნამდვილ მხატვრულობას“.

კინოხტუდიის ავტორიტეტი წლების მანძილზე იქმნება. ომამდელ წლებში „ლენფილმის“ სახელთან დაკავშირებული იყო ისეთი სახელგანთქმული ფილმები, როგორიცაა „ჩაპაევი“, „ტრილოგია ბაქმოს შესახებ, „ბალტიკის დიუტატი“, „მოს ფილმს“ ახალი პოპულარობა ჩაენერგა

**ᲞᲐᲠᲢᲘᲐ** 19 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲧᲘᲜᲐᲕᲘ

ში და ხაზღვარგარეთ უკანასკნელ წლებში მოუპოვეს ფილმებმა „ომმა და მშვიდობამ“, კინოეპოპეა „განთავისუფლებამ“. ქართველმა ოსტატებმა მაღალი პროფესიონალიზმი დაამტკიცეს ფილმებით „ჯარისკაცის მამით“, „ნერგებით“. დასამახსოვრებელი შემოქმედებითი ნამუშევრები აქვთ სხვა სტუდიებსაც.

მაგრამ განსაურებული სახელი და აღიარებაც მარადიული როდია: ისინი უნდა განვამტკიცოთ, გავამაგლთ და, რაც მთავარია, არ შევლახოთ სუსტი ნაწარმოებებით, რომლებიც იმედს უცრუებენ მაყურებელს. ფილმების შექმნა მოითხოვს დიდი კოლექტივის ერთობლივ მეცადინეობას, დიდ მატერიალურ ხარჯებს. ამაზე, თუ როგორ არის მოწყობილი შემოქმედებითი პროცესი, როგორ ატმოსფეროში მიმდინარეობს იგი, რამდენად მომთხოვნად უდგებიან თავიანთ შრომას ფილმების შემქმნელები, დამოკიდებულია მათი ხარისხი და მაშასადამე, მაყურებელთა შორის წარმატებაც. მაგრამ სტუდიის მარკას ყველგან ნამდვილად როდი უფრთხილდებიან.

ჯერ კიდევ გამოდის ისეთი ფილმები, რომლებიც ეკრანზე გამოჩენისთანავე უკვალოდ ქრება, არ იპყრობს ყურადღებას, არ იწვევს მაყურებლის დაინტერესებულ გამოხმაურებას. ზოგჯერ წარმოებაში უშვებენ სუსტ სცენარებს, მხატვრული კრიტერიუმები სტუდიებში ახალი ნამუშევრების შეფასებისას შესუსტებულია.

საბჭოთა ადამიანების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჩვენი საზოგადოების განვითარების აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი ნიჭიერი ნაწარმოებები. გავიხსენოთ, თუნდაც, „ლენფილმში“ შექმნილი ფილმების „ველი კედლებისა“ და „პრემიის“ ამახსენებელი წარმატება. ამ სტუდიის კომუნისტები ეიზენშტეინფუულად და ბეჯითად ამუშავებენ თანამედროვე თემატიკას, შეძლეს ამით კოლექტივის დაინტერესება. მაგრამ ასეთ ფილმებს წამყვანი ადგილი ყველა სტუდიაში როდი უკავია. კერძოდ, თანამედროვე თემისადმი მიძღვნილი ფილმები ოშვიათად იდგმება. უკანასკნელ წლებში „ქართული ფილმის“ და „ტალინფილმის“ კოლექტივებში, თუმცა აქ უფრო ხშირ თაობების აღიარებული ოსტატებიც ჰყავთ და ნიჭიერი ახალგაზრდა რეჟისორებიც. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გაამლიერონ ყურადღება შემოქმედებითი კადრების აღზრდისადმი, წარმართონ ხამხატვრო საბჭოების, სარედაქციო კოლეგიების, კინოსტუდიათა ყველა ქვეგანაყოფის მუშაობა მაღალი პასუხისმგებლობისა და მომთხოვნელობის სულისკვეთებით, ფილმების შექმნელებს მიზნად დაუსახონ დღევანდელი პრობლემების გაღრმავებული დამუშავება.

ეკრანის ოსტატებს იდეურ-ესთეტიკური ამოცანების გადაწყვეტაში, ცხოვრებასთან მათი კავშირის განმტკიცებაში არსებითი დახმარება უნდა გაუწიონ კინემატოგრაფისტთა კავშირებმა. დადებითი შედეგები მოგვცა ამ ბოლო დროს კინემატოგრაფისტთა შეხვედრებმა უკრაინაში, ბელორუსიაში, ლენინგრადში. კვლავაც უნდა გავაკეთეროთ საზოგადოებრივი ძალების საქმიანობა, განვითარდეს შემოქმედებითი გამოცდილების გაზიარება, ავამაღლოთ პროფესიული კრიტიკის დონე.

სსრ კავშირის სახელმ ... ... ...

## ასე ვითარდება რუსთაველთა პატრიოტული თაოსნობა

# არც ერთი ჩამორჩენილი, უდისციპლინო — ჩვენ გვერდით!

**სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის**

**XXV**

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი სორგიელდება**

**ბრძოლა ეფექტიანობისა და ხარისხისათვის ნიშნავს, რომ ყოველი საბჭოთა ადამიანი, ყოველი შრომითი კოლექტივი უნდა იღვწოდეს უმაღლესი შრომის ნაყოფიერებისათვის, მკაცრად იცავდეს საწარმოო დისციპლინას და მოვჰიერნეობის რეჟიმს, დღითიდღე აუმჯობესებდეს მუშაობის ხარისხს, პროდუქციის ხარისხს.**

**ლ. ი. ბრეჟნევი.**

## ვფუცლავთ თაოსნობის ქალენდარს

**იქ, სადაც** რუსთავ-ქალაქის შესასვლელი იწყება, მეფოლადის ფიგურაა აღმართული, რომელსაც აწერია: „**დისციპლინას — ჩვენი მუშური გარანტია**"! სწორედ ამ დევიზით, ამ პატრიოტული იდეით სუნთქავს, შრომობს და ცხოვრობს დღეს მთელი ინდუსტრიული რუსთავი.

დისციპლინას — ჩვენი მუშური გარანტია! ამ ორმაზროვან სიტყვებს, რომლებიც წლინახევრის წინათ მარტენის პირველი ღუმელის მეფოლადეთა ბრიგადირმა ომარ წითლიძემ საზეიმო ფიცად წარმოთქვა, და დასაბამი მისცა საერთო-სახალხო პატრიოტულ თაოსნობას, ახლა სხვადასხვა ვარიანტით და სხვადასხვა სახით იმეორებენ საქართველოს ყველა კუთხეში — საწარმოებსა თუ მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებსა თუ საბჭოთა მეურნეობებში, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე.

ასეთია ძალა და ძლიერება ყოველი დიდი თაოსნობისა. ძნელია მონახოს რესპუბლიკის ისტორიაში მეორე უფრო პოპულარული წამოწყება, რომელიც ასე ღრმა და ფართო, მასშტაბური და ყოვლისმომცველი ყოფილიყოს, მეტ-ნაკლები სიძლიერით და მოცულობით მოეცვას სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, ყველა სფერო.

და ეს იმიტომაც მოხდა, რომ იგი ყველაზე უკეთ ეხმიანება, ყველაზე მეტად ესადაგება და ყველაზე სრულად გამოხატავს იმ ვითარებასა და განწყობილებას, რომელიც დღეს რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის სუფევს.

ეს იყო პირველი დიდი საქმიანი გამოხმაურება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილებაზე.

ფრიად საგულისხმოა, რომ დიდი პატრიოტული ორგანიზმის ფეცხრეს ოჯრედში — მარტენის საამქროს ერთ-ერთ პარტიულ ჯგუფში ჩასახული ამ მოძრაობას, რომელიც რესპუბლიკის ყველა პარტიული ორგანიზაციის კუთვნილებად იქცა, ამოძრავა პარტიულ ორგანიზაციებში გაჩაღებული საინგარიშო-საარჩევნო კრებების მოხსენებებსა თუ გამოსვლებში თვალსაჩინო და განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი.

**იმაზე, თუ როგორ იშრომეს ამ წლინახევრის მანძილზე ინიციატორებმა და მათმა მომდევრებმა და რა წარმატება მოიტანა ამ საყოველთაო-სახალხო მოძრაობამ, მოთხრობილია ამ გვერდზე.**

## ასე დაიწყო...

ქრონიკა: 1976 წლის 18 მაისი. გაიმართა მარტენის საამქროს პირველი ღუმელის № 3 ბრიგადის პარტიული ჯგუფის კრება. პენსიაში აცილებდნენ ვეტერან მეფოლადეს ბრ. გრიგალაშვილს, მიკა ალფრდილავა და შემცვლელმა ო. წითლიძემ კრებაზე წამოაყენა წინადადება — გამომგზავნიათ თაოსნობა დევიზით: „დისციპლინას — მუშური გარანტია", არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენ გვერდით!"

**გვიამბობს მეფოლადე ომარ წითლიძე:** ამ კრებისათვის დიდხანს ვემზადებოდით. არა მარტო ჩვენ, არამედ ქარხნის ყველა პატრიოტს მძიმე ტვირთად გვაწვა ის დიდი ჩამორჩენა, რომელიც 1969-1972 წლებში გვქონდა. დიდი შრომის ფასად შეეძლოთ მისი დაძლევა. მაგრამ ვიცოდით, რომ ყველაფერი ჯერ მიღწეული არ იყო, წარმატებას განმტკიცება სჭირდებოდა.

ვეტერანი მეფოლადეების ქარხნიდან წასვლა, თაობათა ცვლა კი ახალი დიდი პრობლემის წინაშე გვაყენებდა: რა უნდა გვიღონა იმისთვის, რომ თაობათა ცვლის ამ პროცესს საწარმოში უმტკივნეულოდ ჩაევლო?

გადავწყვიტეთ დაგვეწყო მოძრაობა დისციპლინის განმტკიცების და პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის, გაგვეჩალენინა ბრძოლა წარმოების ყველა რგოლში ჩამორჩენილთა დასაწინაურებლად. ეს იდეა ვეტერანმა მეფოლადემ გრ. ბერეკაშვილმა შთაგვაგონა, როცა პენსიაზე საზეიმო გაცილების დროს აღნიშნა: მუშაობის 32 წლის მანძილზე საუკეთესო მაჩვენებლებს სწორედ იმიტომ ვაღწევდი, რომ არ მქონია შრომითი და საწარმოო დისციპლინის დარღვევის არცერთი შემთხვევაო. სწორედ ვეტერანის ეს სიტყვები დავუდეთ დევიზად ჩვენს ახალ შეჯიბრებას.

თუ რა სწრაფად გავრცელდა ეს თაოსნობა, ყველასათვის ცნობილია. მან ჩვენს კოლექტივს დიდი სარგებლობა მოუტანა.

მაგრამ, ჩვენი აზრით, მიღწეული ზღვარი როდია. ვცდილობთ პარტიისა და მთავრობის დიდ ზრუნვას, დახმარებას ახალი შემართებით ვუპასუხოთ, რომ ღირსეულად დავამთავროთ საიუბილეო-სამეურნეო წელი.

ქრონიკა: 1976 წლის 12 ივნისი. საბრძმედ ნაამბრის ღია პარტიულ კრებაზე ო. წითლიძის თაოსნობას რომ განიხილავდნენ, № 3 ბრიგადის ცვლის უფროსმა ა. გოგიშვილმა მოუწოდა ყველას, მუშურ გარანტიას ინჟინერული მხარდაჭერა სჭირდებაო, და მან პირადი ვალდებულება იკისრა.

**გვიამბობს ცვლის უფროსი ა. გოგიშვილი:** მეტალურგიულ საწარმოს მეტად რთული ტექნოლოგიური ციკლი აქვს. მუშის და ინჟინრის შრომა იქ მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ თითქმის შერწყმულია. ამიტომ მუშათა ვერც რთი თაოსნობა, წამოწყება ვერ მოგვცემს დიდ ეფექტს, თუ მას ინჟინრული მხარდაჭერა არ ექნა. და ვინც გადაწყვიტეთ მეფოლადეთა თაოსნობისათვის ოველმხრივ დაგვეჭირა მხარი. დავიწყეთ იმით, რომ მეტალურგ გავაანალიზეთ ფოლადის დნობის ტექნოლოგიური ციკლის გრაფიკი. ო. წითლიძეს და მის ეგბრიგადეს ჩქაროსნული დნობის მეტად თამამი გეგმა ჰქონდათ და საჭირო იყო მისი მეცნიერულ-ტექნიკური გარანტიით განმტკიცება, რომ ჩქაროსნული დნობის ხარისხის მაჩვენებელზე უარყოფითად არ მოქმედა.

რამდენიმე დნობის პროცესის შემდეგ დავრწმუნდით, რომ ბრიგადის გრაფიკი სწორი იყო, და მის ცირეულ შესწორების შემდეგ საწარმოო საგზური ვიცეთ. შეფერხება არ გვქონია. მუშათა ინიციატივას წარფად მოჰყვა თავისი ეფექტი.

## ჩვენი რეკომენდაციით

**მეტალურგიული ქარხნების დაპროექტების საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორის ჯ. ბელიშვილის ნაამბობი**

**ცნობილია,** რომ ამ წამოწყებას ორი მხარე აქვს: ერთი ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია და სოციალისტური დისციპლინის განმტკიცება, მეორე — შუშურ გარანტიას — ინჟინრული მხარდაჭერა! მუშაობის სპეციფიკის გამო ჩვენს ინსტიტუტში იგი სრული სახით გავრცელდა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ელგან როდია შესაძლებელი ორივე ფორმის გამონგება.

დისციპლინით დავიწყოთ. დისციპლინა წესრიგის ერა, სადაც წესრიგი და მომთხოვნელობაა, იქ, ადა, მუშაობის ხარისხიც მაღალია. თუმცა ამ ეტიხს შუდამ დიდ ყურადღებას ვუთმობდით, მაგრამ განსაკუთრებით გავაძლიერეთ მუშაობა ამ მიმართულებით მეტალურგთა თაოსნობის შემდეგ. შევიმუშავეთ და დავამტკიცეთ „ხარისხის" ბრიგადა-ბიუროტი, „ხარისხის" დებულება. მასში ჩამოყალიბებულია პროექტების ხარისხის განმსაზღვრელი კრიტერიუმები და მოწმების ეტაპები. და ახლა ამ დებულების მიხედვით ვაწყობთ „ხარისხის დღეს".

ეს საქმე თანდათან სულ უფრო სრულყოფილი გახდა. წინ კიდევ ბევრი მუშაობა მოგველის, რომ კიდევ დაინერგოს საპროექტო გადაწყვეტათა ხარისხ-უკმაღექსური შემოწმება, გაუმჯობესდეს ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასების სისტემა.

ინიციატივის მეორე მხარე, რომელიც ინჟინრულ-ტექნიკური ეხება და რომელსაც ჩვენს ინსტიტუტში ეწოდა „ბანაკი" და გამოყენება უნდა ჰქონოდა, სამწარეოდ, ჯერჯერობით სათანადოდ ვერ გავრცელდა, მიმართულებით ჩვენი სპეციალისტების საქმიანობა ით იფარგლება, რომ ისინი ამოწმებენ და დასკვნებს აძლევენ მეტალურგიული ქარხნის მუშაკთა რაციონალიზატორულ წინადადებებს, რომლებიც მუშაობის პირობების გაუმჯობესებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის არის გამიზნული.

განზრახული გვაქვს უახლოეს ხანში უფრო მჭიდრო ურთიერთობა დავამყაროთ ქარხნის საამქროთა გამომგზავნებლობისა და რაციონალიზაციის ბიუროებთან, პერსონალური შეფობით გავაძლიეროთ და უფრო კონკრეტული გავხადოთ ცალკეულ ნოვატორ მუშებთან თანამშრომლობა.

ქრონიკა: 1976 წლის 20 მაისი. ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა მოიწოდა აკადემიკოსთა თაოსნობა და ძირეულ პარტიულ ორგანიზაციებს წინადადება მისცა გაეთვალისწინათ იგი.

**გვიამბობს ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი კ. ბაძრაძე:** ეს თაოსნობა ქარხანაში თანდათან მწიფდებოდა, და იგი იმ დიდი უკომპრომისო ბრძოლის უფუო გამოძახილი იყო, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით გაჩაღდა არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. მეტალურგები მიხვდნენ, რომ მუშურ სიტყვას დიდი ძალა აქვს, და პატრიოტული სიტყვა თავიანთი თაოსნობის სახით სწორედ მაშინ თქვეს, როცა ეს ყველაზე უფრო საჭირო იყო.

ო. წითლიძის წინადადებას რამდენიმე დღეში ასობით მეტალურგმა დაუჭირა მხარი, პირადი ვალდებულება იკისრა, და მათ ეს ვალდებულება პირნათლად შეასრულეს. შეიძლება თქვას, რომ კოლექტივს ახლა არ ჰყავს პოტენციურად ჩამორჩენილი მუშები. მოწინავეა თითქმის ყველა ცვლა, საამქრო, უბანი.

მაგრამ ქარხნის კოლექტივი, ადმინისტრაცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები კვლავ ეძებენ ახალ-ახალ მეთოდებს აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის. მაგალითად, პარტიული კომიტეტის ინიციატივით შეიქმნა „მუშური ღირსების საქართველო საბჭო", რომელიც რეგულარულად განიხილავს დისციპლინის მდგომარეობის საკითხებს და ქმნის კოლექტიურ აზრს, შეურიგებლობის ატმოსფეროს წესრიგის, დისციპლინის დამრღვევთა მიმართ. პერიოდულად გამოდის ბიულეტენი, სადაც გაანალიზებულია დისციპლინის საერთო მდგომარეობა საწარმოში, კონკრეტულად არიან დასახელებული ის პირები, ვინც დაარღვიეს საწარმოო, შრომითი, ტექნოლოგიური დისციპლინა, საზოგადოებრივი წესრიგი. ამ ბიულეტენმა ჩვენი იმედები გაამართლა. იგი მებრძოლ ორგანოდ გადაიქცა და ქალაქის სხვა საწარმოებშიც გავრცელდა.

## მიღწეული ზღვარი როდია

**ქარხნის დირექტორის ო. სულაძის ნაამბობი**

**ქარხნის** კოლექტივის საქმიანობაში დადებითი ძვრები ჯერ კიდევ 1972 წლის ბოლოს დაიწყო, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პრინციპულად იმსჯელა მეტალურგთა მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე და მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები დასახა. ამ ღონისძიებათა შესასრულებლად მთელი ჩვენი კოლექტივი დაირაზმა.

ქარხნის დირექცია, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული კომიტეტები, მშრომელთა ინიციატივაზე დაყრდნობით, თანამიმდევრულად მუშაობას შეუდგნენ საწარმოო და შრომის დისციპლინის განუხრელი განმტკიცების, წარმოების ორგანიზაციის გარდაქმნის, ტექნოლოგიური ინსტრუქციების განუხრელი დაცვის, მეტალურგთა საყოფაცხოვრებო და საკავშირო მომსახურების ძირეული გაუმჯობესებისათვის.

წლეულს მეტალურგთა თაოსნობამ ახალი მომართულება შეიძინა. წარმოების ყველა რგოლში, ყველა უბანზე ფართო მუშაობა გაიაღეს დამრიგებლებმა — ნოვატორმა მუშებმა, სპეციალისტებმა. დამრიგებლობის მოძრაობის მიზანი ის არის, რომ მთლიანად შესრულდეს თაოსნობის შემდეგ ნაკისრი ვალდებულება — არ გვყავდეს არც ერთი ჩამორჩენილი. დამრიგებლებმა ჩამორჩენილებისადმი შეფობა იკისრეს და ამის მეოხებით წლეულს თითქმის ოცი გვყავდა ჩამორჩენილები.

როცა თაოსნობას ვიწყებდით, ჩვენი მიზანი სწორედ ეს იყო, და შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ მეტალურგებმა კოლექტიური პასუხისმგებლობის, სანიმუშო დისციპლინის მაგალითი გვიჩვენეს.

**ცნობა: რუსთაველმა მეტალურგებმა მეათე ხუთწლედის მეორე წლის ათი თვის დავალების გადამეტებით გამოუშვეს 2,3 მილიონი მანეთის პროდუქცია — სამშობლოს მისცეს 3,4 ათასი ტონა თუჯი, 9,3 ათასი ტონა ფოლადი, 4 ათასი ტონა ნაგლინი, 5,2 ათასი ტონა მილები. მე-15-ჯერ მოიპოვეს სოციალისტური შრომა.**

## დღეს უკეთ, ვიდრე გუშინ

ქრონიკა: 1976 წლის 13 ივლისი. პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის თაოსნობის მხარდაჭერის, მოწონებისა და რესპუბლიკაში გავრცელების შესახებ.

**გვიამბობს რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მგრეხავი, ლენინის ორდენოსანი მ. აბესაძე:** იმ ხანად, როცა მეტალურგებმა თავიანთი თაოსნობა წამოიწყეს, ჩვენი კოლექტივი ჩამორჩებოდა. ამიტომ შემიძლია პირდაპირ ვთქვა, რომ ამ თაოსნობამ სულზე მოგვასწრო და მან ქარხნის ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულა.

მინდა შევეხო დისციპლინის განმტკიცების ამ ახალ ფორმებს, რომლებიც მეტალურგთა თაოსნობის გავრცელების დღეებში ჩვენს საწარმოში იშვა. მხედველობაში მაქვს მუშური ღირსების კომისიები და ე. წ. დისციპლინის დღეები. ეს კომისიები განიხილავენ დისციპლინის დარღვევის ყოველ შემთხვევას, მსჯელობენ მასზე და სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს. ამხანაგების წინაშე გაკიცხვა, შერცხვენა, გაწითლება, საზოგადოებრივი ზემოქმედება, — აი ის ღონისძიებები, რომლებსაც კომისიები მიმართავენ, და უნდა ითქვას, რომ მათ მთლიანად გაამართლეს ჩვენი იმედი. ამ კომისიების კარგი მუშაობის შედეგია, რომ შარშან და წლეულს თითქმის მთლიანად აღმოიფხვრა წუნი, მინიმუმამდე შემცირდა რეკლამაციები.

უკვე ეფექტიანი ნაცადი ფორმაა „დისციპლინის დღე". ეს დღე ყოველ ხუთშაბათს იმართება საწარმოს ხელმძღვანელობის უშუალო მონაწილეობით. „დისციპლინის დღეზე" განიხილავთ ყველაზე საჭირბოროტო საკითხებს და გადამჭრელ ზომებსაც მიშინვე ვიღებთ. აი შედეგიც: თუ შარშანდელ წლის ცხრა თვეში გაცდენებმა 1.671 კაცდღე შეადგინა, წლეულს ცხრა თვეში გაცდენები სანახევროდ შემცირდა, ამან საშუალება მოგვცა შრომის ნაყოფიერება 112,5 პროცენტით გაგვეღიდებინა.

## არ შევურიგდეთ ნაკლოვანებებს

**გვესაუბრება საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. გიორგაძე**

**მეტალურგთა** თაოსნობა ძირითადად მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოთხვრისათვის ორგანიზებულ ბრძოლას და ამ ბრძოლაში შრომითი კოლექტივის თვითეული წევრის პასუხისმგებლობის ამაღლებას გულისხმობს. მაგრამ მათი ეს თაოსნობა არ გახდებოდა ესოდენ საყოველთაო-სახალხო, რომ მისთვის ჯერ ქარხნის პარტიულ კომიტეტს, შემდგომ

თაოსნობის ინიციატორი, მეტალურგი ომარ წითლიძე. ვლ. გინზბურვის ფოტო.

პარტიის საქალაქო კომიტეტს ყოველმხრივ არ დაეჭირა მხარი და ხელი არ შეეწყო მისი გავრცელებისათვის. ჩვენ კი დიდ მადლობას ვუხდით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მთავრობას, რომლებმაც დიდი მზრუნველობა გამოიჩინეს, ღირსეულად დააფასეს ჩვენი მუშაობა და არაერთხელ აქციეს იგი პრინციპული მსჯელობის საგნად.

მეტალურგთა თაოსნობის აღმავლობა ფაქტიურად მეტალურგიული ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ დაიწყო, როდესაც მონაწილეობა მიიღეს და შექმნილი ვითარება ღრმად გაანალიზეს რესპუბლიკის პარტიულმა ხელმძღვანელებმა. ხოლო როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა მეტალურგთა თაოსნობა და დადგენილება მიიღო მისი გავრცელებისათვის, იგი საქართველოს მშრომელთა კუთვნილება გახდა.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ძირითადი ფმოცანა იყო და რჩება მეტალურგთა ეკონომიტად საყოველთაო-სახალხო მოძრაობა უზრუნველყოს იდეოლოგიური, პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობით. და სწორედ აქეთკენ წარმართეს იგი თავის საქმიანობას.

ყოველი წამოწყების ფასისა და ღირებულების საზომი მიღწეული კონკრეტული შედეგებია. განვლილ პერიოდში მოპოვებული მიღწევები კი მართლაც შთამბეჭდავი და მრავალსმეტყველია. მაგალითად, შარშან წლის მეორე ნახევარში ქალაქის მასშტაბით 60 პროცენტით შემცირდა სამუშაო დროის დანაკარგები, მნიშვნელოვნად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, ცალკეულ დარგებში ეს ტენდენცია წლეულაც წარმატებით გრძელდება.

კიდევ ერთი კონკრეტული მაგალითი: თუ შარშან, თაოსნობის დაწყებამდე, ქალაქის 8-9 საწარმო ჩამორჩებოდა, ამჟამად მხოლოდ ერთი კოლექტივი ჩამორჩება. პარტიის საქალაქო კომიტეტმა გააძლიერა კონტროლი ხარისხობრივი მაჩვენებლებისადმი და მიაღწია იმას, რომ თანამედროვე ტექნიკური დონის, სახალხო მეურნეობისა და მსოფლიო ბაზრის მზარდი მოთხოვნების შესაბამისი პროდუქციის გამოშვება თითეული კოლექტივის, ყველა მშრომელის ღირსების საქმედ იქცა. ამას კი იმით მივაღწიეთ, რომ ადგილებზე მაღალი პირადი პასუხისმგებლობა, მტკიცე შრომის დისციპლინა.

განვლილი წლინახევრის მანძილზე ქალაქის მრეწველობის 29 სახეობის ნაწარმს მიენიჭა ხარისხის ნიშანი, წინათ კი არც ერთი სახეობის პროდუქცია ამ ნიშნით არ შეამკობდნენ.

როგორც თაოსნის სახელსა და ღირსებას შეეფერის, ყველაფერში მაგალითის მიმცემი მეტალურგები არიან. მაგრამ უკანასკნელ ხანს, მათს გამოცდილებას რომ ეზიარნენ, მაჩვენებლები მკვეთრად გაუუმჯობესეს ქიმიკოსებმაც და მეცხრამეტენეგმაც, რომლებმაც წლეულს 10 თვის განმავლობაში 23 ათასი ტონა მინერალური სასუქები, 282 ტონა ქიმიური ბოჭკო და 5 ათას ტონაზე მეტი ცემენტი მისცეს სახალხო მეურნეობას.

პარტიის საქალაქო კომიტეტი თანამიმდევრულად იბრძვის მეტალურგთა თაოსნობის გაღრმავებისა და ყველა უბანზე დანერგვისათვის. სანდფორმაციო ცენტრი, რომელიც პარტიის საქალაქო კომიტეტთან არსებობს, საშუალებას გვაძლევს ყოველთვიურად ზუსტად ვადევნებდეთ თვალს სამრეწველო საწარმოთა მუშაობის მაჩვენებლებს. ქალაქში და სისტემატური კონტროლი გავუწევთ მას, ოპერატიულად მივიღოთ საჭირო ზომები.

წლინახევრის მანძილზე მეტალურგთა დევიზით მუშაობის შედეგები იმის საიმედო წანამძღვრებს ქმნის, რომ ქალაქის ყველა საწარმო სისტემატურად ასრულებდეს საგეგმო დავალებებს. მუშაობაში ახლა მხოლოდ ერთი ჩამორჩენილი ქარხანა გვყავს და გამოსწორებისათვის ქმედთან ზომებს ვიღებთ.

რუსთაველის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც დღეგადგ გრძნობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მზრუნველობას და დახმარებას, კვლავაც ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ სანიმუშო წესრიგი დაამყაროს ქალაქის ცხოვრებაში და შრომის ყველა უბანზე.

**ამისათვის ჩვენ სხვათა გამოცდილებასაც ვსწავლობთ. კერძოდ, ქუთაისელთა და პირველმაისელთა თაოსნობას, რომელიც მეტალურგთა წამოწყების ახალ, უფრო ეფექტიან და კონკრეტულ ფორმად გვევლინება.**

**ცნობა: ქალაქ რუსთავის მშრომელებმა, რომლებიც საიუბილეო ვახტს აგრძელებენ, ვადამდე შეასრულეს მეათე ხუთწლედის მეორე წლის ათი თვის დავალება. დავალების გადამეტებით გამოშვებულია 4,2 მილიონი მანეთის მთლიანი პროდუქცია, ხოლო რეალიზებულია — 4 მილიონ მანეთზე მეტი ნაწარმი. საბინაო მშენებლობის წლიური დავალება მთლიანად ქალაქში 7 ნოემბრისათვის იქნა განაღდებული.**

## მყარ ნიადაგზე

ქრონიკა: 1977 წლის 17 თებერვალი. სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურმა კომისიამ იმსჯელა ქუთაისისა და თბილისის პირველი მაისის რაიონის მშრომელთა წამოწყებაზე, რომ თითოეული საწარმო აარშლებდეს სამეგმო დავალებას და ჯერ გვყავდეს ჩამორჩენილები:

1977 წლის 27 თებერვალი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ეს თაოსნობა.

**ინტერვიუ პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანთან ნ. რუხაძესთან.**

**ქუთაისის** მუშათა კლასმა, ტექნიკურმა ინტელიგენციამ იმთავითვე მხურვალედ მოიწონეს და მხარი დაუჭირეს რუსთაველთა საყურადღებო ინიციატივას. ქალაქის სამრეწველო საწარმოებში ახალი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლებიან გაუუმჯობესებიანი და სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის. და თუ დღეს მოპოვებული წარმატებანი შრომის კონკრეტული შედეგები ვლინდება, ეს უპირატესად იმის ნებმარტი დასტურია, რომ რუსთაველთა პატრიოტულ წამოწყებას ქუთაისის მრეწველობაში მომზადებული, ნაყოფიერი ნიადაგი დაწდა.

მაგრამ თუ სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის მოძრაობის პირველ ეტაპზე უპირატესად ელემენტარული წესრიგის დამყარება და იმ საკითხების მოგვარება გვიდგიდეთ, რომლებიც ერთბაშად გვეცემოდა თვალში, ბრძოლის მეორე ეტაპზე თავისებურად შეიცვალა საქმის ფასი.

თვის ყოველ დეკადაში ქალაქკომში იწყობა წარმოების ხელმძღვანელთა, პარტორგანიზაციების მდივნების თათბირი საწარმოებში შექმნილი მდგომარეობისა და თვის მოსალოდნელი შედეგების განსახილველად. თვეში ერთხელ ვაწყობთ „მუშობის ხარისხის შეფასების საქალაქო დღეს", სადაც ვამოწმებთ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს. პარტიის საქალაქო კომიტეტი მარტო საწარმოო ვალების შესრულებას როდი ადევნებს თვალყურს. კონტროლის ძირითადი აქცენტი გადატანილია აგრეთვე სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობაზე.

ქუთაისს სამრეწველო საწარმოთა შრომითს კოლექტივებს ბოლო წლებში დაუგროვდათ მიღწეული შედეგების კრიტიკული გაანალიზების მდიდარი გამოცდილება, როცა ასინი ხშირად თვადაც გამხდარან ცარი წამოწყების თაოსნები. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პასუხად სწორედ ჩვენს ქალაქში იშვა კიდევ ერთი ახალი ფრიად საყურადღებო ინიციატივა „საიუბილეო წელს ყველა საწარმოში ყოველთვიური ვალის შესრულდეს მხოლოდ გადაჭარბებით".

ახალმა თაოსნობამ უკვე მოგვცა დადებითი შედეგი, წლეულს არა გვყავს „არც ერთი ჩამორჩენილი".

ქალაქის მრეწველობამ 10 თვეში შეასრულა წლიური ვალდებულება, გამოუშვა 15 მილიონი მანეთის ზეგეგმითი ნაწარმი და იკისრა წლის ბოლომდე დამატებით კიდევ გამოუშვას 5 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

**იქნება 20 მილიონი მანეთის ზეგეგმითი ნაწარმი!**

## ტრადიციად ვაქციოთ გეგმის შესრულება

**ინტერვიუ პარტიის თბილისის პირველი მაისის რაიონის პირველ მდივანთან ბ. მაბარაშვილთან.**

**პირველი** მაისის რაიონის მშრომელები დედაქალაქის მშრომელებთან ერთად რუსთაველის მოწოდებას მომზადებული შეხვდნენ. ამ მეტად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის თაოსნობის გავრცელებას ნაადრი მოუმზადა და ხელი შეუწყო ქალაქ თბილისის მოწინავე სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების ინიციატივამ — „მეათე ხუთწლედში საწარმოს ყოველ რგოლს — წარმოების მაღალი კულტურა და სანიმუშო დისციპლინა". ამ მიზნით რაიონში სპეციალურად მოწყობილი დათვალიერება-კონკურსის დროს ყველა საწარმოში შექმნილი იყო მაღალი კულტურისა და სანიმუშო დისციპლინის საჩვენებელი ძირეული რგოლები.

ქალაქის სამრეწველო საწარმოთა ამ ინიციატივამ რუსთაველთა თაოსნობის გავრცელებას ერთგვარი წინაპირობა შეუქმნა რაიონში.

ახლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ რაიონში მინიმუმამდე შემცირდა სამუშაო დროის უმიზეზოდ გაცდენის, სამუშაოზე დაგვიანების შემთხვევები, რაც წინათ გარკვეულ დაღს ასვამდა როგორც ცალკეული საწარმოს, ისე რაიონის საერთო მაჩვენებლებს.

ხუთწლედის პირველ წელს მიღწეულმა წარმატებებმა გვიბიძგა რუსთაველთა მიმდევრებთან — ქალაქ ქუთაისის მშრომელებთან ერთად მათი თაოსნობის განმგრძელებლები გავმხდარიყავით. ჩვენმა მოწოდებამ — „ყოველდღიურად, ყოველდეკადურად, ყოველთვიურად უთუოდ შეგასრულოთ სახელმწიფო გეგმები, არ გვყავდეს არც ერთი ჩამორჩენილი სამრეწველო საწარმო", — კიდევ უფრო მეტი სტიმული მისცა საიუბილეო წელს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა თავდადებულ შრომას.

**რას ვეყრდნობოდით, როცა ესოდენ დიდი და პასუხსაგები ინიციატივა გამოვიჩინეთ?** უპირველეს ყოვლისა, ვითარების ღრმა მიკნიერულ-ეკონომიკურ ანალიზს, რომელმაც თვალნათლივ დაგვანახვა ცალკეულ საწარმოებში არსებული ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვები, ტექნიკური და ტექნოლოგიური სიმძლავრენი, ხელუხლებელი მატერიალური და შრომითი რესურსები, თითქმის ყველგან იყო სტაბილური, მუშაობის პირობები.

ამ მიზნით პარტიის რაიონულ კომიტეტში შეგვიმუშავეთ საწარმოებისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის ქმედითი ფორმები, რამაც შესაძლებლობა მოგვცა გავცოდნოდა ცალკეულ საწარმოებში ყოველდღიური მდგომარეობა. შექმნილი ვითარების ცოდნა და დროული ანალიზი კი საშუალებას გვაძლევს ოპერატიულად ჩავერიოთ საქმეში და, თუ საჭიროა, ოპერატიულადვე დავეხმაროთ მოსალოდნელი შეფერხების დაძლევაში.

ყოველი თვის პირველი ორი დეკადის შემდეგ ვანალიზებთ რაიონში შექმნილ ვითარებას და იქ, სადაც შრომითი რიტმი ირღვევა, ოპერატიული ჩარევით ეფექტურებით საკითხის დადებითად გადაწყვეტაში.

## ეს რა მოგვცა თაოსნობამ

**ეს-ეს არის შეჯამდა საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების საიუბილეო წლის 10 თვის მუშაობის შედეგები. მაჩვენებლები სახიხარულოა. კოლექტივების აბსოლუტურმა უმრავლესობამ ვადამდე გაანაღდა სახელმწიფო გეგმები და საოქტომბრო დღესასწაულისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები.**

**რესპუბლიკის მრეწველობამ ათ თვეში გეგმის გადამეტებით გამოუშვა 166 მილიონი მანეთის პროდუქცია, ხოლო გაასალა 141,7 მილიონი მანეთისა.**

**აღსანიშნავია, რომ პროდუქციის მოცულობის მატების 73 პროცენტზე მეტი მიღებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე. დევიზმა — „ვიმუშაოთ ისე, რომ არ გვყავდეს ჩამორჩენილი საწარმოები!", კონკრეტული საქმეებით შეიხსა ხორცი, ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი 10-ჯერ და მეტად შემცირდა.**

**ახლა, როცა საიუბილეო წლის შეჯიბრება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, როცა მრეწველობის მშრომელები კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ საოქტომბრო ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში დასახულ გრანდიოზულ ამოცანებს, საქართველოს სამრეწველო კოლექტივებში ახალი ძალით ჩაღდება შეჯიბრება დევიზებით: „საიუბილეო წლის ბოლომდე დარჩენილი ყოველი დღე — მხოლოდ დამკვრელური", „ხუთწლედის მესამე წელს — საიუბილეო საფუძველი!".**

**ოქტომბრის იუბილეთი უთაგონებული შრომითი ვახტი გრძელდება.**

**გვერდი მოამზადეს რ. ჭელიძემ და ხ. ხარაზიშვილმა.**

## სოციალისტური წესრიგის განმტკიცებას — მუშური გარანტია!

# ხალხის ინჯენერების სადარაჯოზე

**ჩვენს მილიციას საბოლოო წელი შეუსრულდა**

ჯ. კეთილაძე,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, შინაგანი სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი.

**ლაუვიწყარი** დღეები დაუდგა ჩვენს დიად ქვეყანას. ერთი თვის წინ მიღებულ იქნა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია. ახლახან კი გმირმა საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ ზეიმით აღნიშნეს მეოცე საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავი.

„მსოფლიო ისტორიის არც ერთ მოვლენას არ მოჰყოლია ისეთი ღრმა და ხანგრძლივი შედეგები კაცობრიობისათვის, როგორიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციას მოჰყვა. ოქტომბრის შუქმა მომავლის გზა გაუნათა ბევრი ქვეყნის ხალხებს. ისტორია სწორედ რომ გოლიათური ნაბიჯებით წავიდა წინ“, — განაცხადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე.

საიუბილეო 60 წელი შეუსრულდა საბჭოთა მილიციასაც, რომელიც შეიქმნა ვ. ი. ლენინის ინიციატივით ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების მესამე დღეს — 1917 წლის 10 ნოემბერს. ამ დღიდან იგი უცვლელად დგას სოციალისტური მართლწესრიგის სადარაჯოზე.

საბჭოთა მილიციის ისტორია განუყოფლად არის დაკავშირებული ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნასა და განვითარებასთან, ვ. ი. ლენინის, მისი თანამებრძოლების, გამოჩენილი რევოლუციონერებისა და სახელმწიფო მოღვაწეების ფ. ე. ძერჟინსკის, მ. ი. კალინინის, ვ. ვ. კუიბიშევის, კ. ე. ვოროშილოვის, მ. ვ. ფრუნზეს, გ. ი. პეტროვსკის სახელებთან.

სოციალიზმის მშენებლობის ყველა ეტაპზე, ომისა თუ მშვიდობიანი მშენებლობის წლებში საბჭოთა მილიცია ერთგულად ემსახურებოდა საბჭოთა ხალხს. მ. ი. კალინინის სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი იყო „საბჭოთა ხელისუფლების იდეების ბრწყინვალე გამტარებელი“.

საბჭოთა მილიციის ისტორიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფურცელია სამოქალაქო ომის პერიოდი, როცა რევოლუციური წესრიგისა და სახოგადოებრივი უშიშროების დაცვასთან ერთად, იგი უშუალოდ მონაწილეობდა უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ საომარ მოქმედებაში.

უცხოელ ინტერვენტებსა და შინაურ კონტრრევოლუციაზე გამარჯვების შემდეგ მშვიდობიანი მშენებლობის, ომით გაპარტახებული სახალხო მეურნეობის აღდგენის წლებში წითელ არმიასა და საგანგებო კომისიის ნაწილებთან ერთად საბჭოთა მილიციამ განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა პოლიტიკური ბანდიტიზმის ლიკვიდაციის საქმეში. მილიცია აქტიურად მონაწილეობდა პარტიის გენერალური ხაზის განხორციელებაში და კლასობრივ მტრებთან — კულაკებთან ბრძოლის პარალელურად ენერგიული ღონისძიებებს მიმართავდა სისხლის სამართლის დანაშაულობათა წინააღმდეგ, დაუნდობლად ებრძოდა დამტაცებლებს, სპეკულანტებს, ხულიგნებს, ბავშვთა უპატრონობასა და მედლებით დაჯილდოვდა 270 ათასზე მეტი მუშაკი, ხოლო მათ შორის 30-ს მამაცთა შორის მამაცს — საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

გმირ ჩეკისტთა შორის ჩვენი თანამემამულე, თბილისის მილიციის სკოლის აღზრდილი, ქ. თბილისის პირველი მაისის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების ყოფილი თანამშრომელი გალაკტიონ რაზმაძე — იმ ლეგენდარული ბატალიონის მეთაური, რომელმაც ერთ-ერთმა პირველთაგანმა გადალახა დნეპრი.

ამ საიუბილეო დღეს არ შეიძლება არ მოვიგონოთ ჩვენი დაღუპული მეგობრები: მილიციის უფროსი ლეიტენანტი გიორგი ჯაფარიძე, მამაცი მეხანძრე ყარამან ტატაევი, არჩილ და გაიოზ ამყარდლები, ბორის მშვილდაძე, ვალერი ტუბაბა, ვლადიმერ წულუკაი, იასონ პაპაიური, ლევან მგალობლიშვილი, ვ. ა. ყარაული და სხვები, რომლებმაც მშვიდობიან დღეებში ხალხის კეთილდღეობისათვის გასწირეს თავი.

საბჭოთა მილიციის სახელოვანი ტრადიციები — კომუნისტური იდეალების ერთგულება, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებისადმი შეურიგებლობა, სოციალისტური კანონიერების განუხრელი დაცვა, სამშობლოს, ხალხის, პარტიის ინტერესებისათვის თავდადება ყოველდღიურად ვითარდება და მტკიცდება. ამის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია მილიციის მუშაკის ა. ი. პოპრიადუხინის თავდადება, რომელსაც 1973 წელს საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა, ჩვენი თანამემამულის რ. გვეხუაძის მამაცობა და გამბედაობა, რისთვისაც იგი წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოვდა.

საბჭოთა მილიციის საქმიანობის სასიცოცხლო საფუძველი, მისი ძლიერების მთავარი წყაროა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია არა მარტო განსაზღვრავს მართლწესრიგის დაცვის მთავარ ამოცანებსა და მათი გადაწყვეტის გზებს, არამედ მუდმივ კონტროლს უწევს მილიციის საქმიანობას, განამტკიცებს მას კვალიფიციური კადრებით, ზრდის თანამშრომლებს ხალხის თავდადებული სამსახურის, კომუნიზმის საქმის უსაზღვრო ერთგულებისა და სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით.

შინაგან საქმეთა ორგანოებს საქმიანობის სრულყოფისათვის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა მილიციის პროფილაქტიკურ-აღმზრდელობითი და ოპერატიულ-სამეძებრო მუშაობის დონე, კიდევ უფრო განმტკიცდა შინაგან საქმეთა ორგანოების კავშირი მშრომელთა კოლექტივებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

დღეს შინაგან საქმეთა ორგანოები თავიანთ საქმიანობაში გონივრულად უხამებენ ერთმანეთს დარწმუნებისა და იძულების მეთოდებს. საზოგადოებრიობის, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების, მშრომელთა კოლექტივებისა და საცხოვრებელი ადგილის პროფილაქტიკური საბჭოების ფართო დახმარებითა და მხარდაჭერით საბჭოთა მილიცია მტკიცედ შეიარაღდა ადამიანებზე აღმზრდელობითი ზემოქმედების სხვადასხვა საშუალებით.

უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობითა და დახმარებით მკვეთრად ამაღლდა საქართველოს სსრ მილიციის პირადი შემადგენლობის პოლიტიკური და ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონე, პროფესიული ოსტატობა და შრომის კულტურა. შეუწყნარებელი ბრძოლა წარმოებს იმათ წინააღმდეგ, ვინც არღვევს სოციალისტურ კანონიერებას, სამსახურებრივ დისციპლინას, უსულგულოდ ეკიდება მოქალაქეთა მოთხოვნებს და მთელი მონდომებით არ მუშაობს თავისი სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისათვის.

